ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის

ოქმი N 64

2 დეკემბერი, 2021 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N 2

13:00 სთ

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე მიხეილ ამაშუკელი.

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

მარიკა დარჩია

თინათინ ნიბლოშვილი

ანა ლაშხი

გულია გოცირიძე

კომისიის თავმჯდომარემ მიხეილ ამაშუკელმა ერთი წლის მუშაობის მიმოხილვა წარუდგინა კომისიის წევრებს.

მიხეილ ამაშუკელის ინფორმაციით მიმდინარე წელს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ გამოსცა 55 განკარგულება.

გაიხსნა ოთხი ქუჩა და ერთი სკვერი, მათ შორის ოკუპაციასთან მებრძოლი იუნკერების (ალექსანდრე ახვლედიანის, პლატონ დოლიძის) ქუჩები და ბულგარეთის დედაქალაქის სოფიას სახელობის სკვერი. მიხეილ ამაშუკელის ინფორმაციით, საქართველოს და ბულგარეთს ისტორიული მეგობრობა აკავშირებთ. ბულგარეთი საქართველოს ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერია. ამ გადაწყვეტილებამ კიდევ უფრო განამტკიცა ჩვენი ქვეყნებისა და დედაქალაქების თანამშრომლობა.

რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის 100 წლისთავთან დაკავშირებით გლდანის რაიონში, ავჭალის რკინიგზის სადგურს ქართველი სამხედრო მოღვაწის ვლადიმერ გოგუაძის სახელი მიენიჭა. იგი საქართველოს სახალხო გვარდიის ჯავშნოსანი მატარებლების მეთაური იყო, ჰქონდა რესპუბლიკის გმირის წოდება. ვლადიმერ გოგუაძის ხელმძღვანელობით შეძლეს ქართველებმა, ერთი საუკუნის წინ, რუსეთის საბჭოთა არმიის ავჭალიდან განდევნა და ავჭალის რკინიგზის სადგურის დაკავება.

ასევე მნიშვნელოვანი ინიციატივა იყო ივერთუბანში უსახელო ქუჩისთვის 1989 წლის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული თამუნა დოლიძის სახელის მინიჭება.

მიმდინარე წელს თავისუფლების მოედნის მეტროსა და თავისუფალი თეატრის მიმდებარედ არსებულ ხეივანს ნიკო გომელაურის სახელი მიენიჭა. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარის მიხეილ ამაშუკელის განცხადებით, ქალაქში თანამედროვე, შემოქმედებითი და კრეატიული საზოგადოებრივი სივრცე გაჩნდება, რომელსაც ყოველდღიურად ათასობით მნახველი ეყოლება.

ასევე ჩუღურეთის რაიონში გია ყანჩელის სახელობის არტოს ბაღში მდებარე საკონცერტო დარბაზს ანზორ ერქომაიშვილის სახელი მიენიჭა.

მიმდინარე წლის გამორჩეული და მნიშვნელოვანი სახელდებები, რომელიც განახორციელა კომისიამ, კახი კავსაძისა და სერგო ფარაჯანოვის სახელების მინიჭება იყო უსახელო გეოგრაფიული ობიექტებისთვის.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ შეხვედრები გამართა რამდენიმე ქვეყნის ელჩებთან, ასევე კომისია აქტიურად თანამშრომლობდა ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურთან, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო სამსახურთან, გარდა ამისა მიმდინარე წელს განთავსდა 442 სამისამართე აბრა და 74 დგარიანი სამისამართე აბრა. სრულყოფილი და თანამედროვე დამისამართება უმნიშვნელოვანესი კომპონენტია ისეთი სერვისების ოპერატიულად მისაღებად, როგორიცაა სასწრაფო, სახანძრო, საპატრულო, სამაშველო თუ საფოსტო მომსახურებები. აღნიშნულ სერვისებს კი ხშირად სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვთ

კომისიის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებს თანამშრომლობისთვის და წარმატებები უსურვა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

მიხეილ ამაშუკელი